

პროგრამის სახელწოდება: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ლელა აფციაური

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს სწავლის უფლებას, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირებს უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქის ქართული ენის ცოდნის კომპეტენციის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის (რომელიც მოიცავს: მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს) შედეგად დადასტურებული ცოდნის (B1 დონე) ან ქართული ენის B1 დონის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

სწავლების ენა: ქართული.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულთა პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული ცოდნის შეძენას, და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტოლოგიის პროფესიისთვის დამახასიათებელი ეთიკური ღირებულებებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას. პროგრამა მიზნად ისახავს თერაპიისა და რეაბილიტაციის დარგში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც აქვთ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, შეუძლიათ დარგის ძირითადი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულად გააზრება და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტში განზოგადება.

იციან დროებითი ან მუდმივი სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის ნორმალური ფიზიკური მდგომარეობის აღდგენის თანამედროვე თეორიები, პრინციპები, მეთოდები და საშუალებები, ფიზიკური დატვირთვისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციის მეთოდები, ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების გავლენა სპორტსმენის ორგანიზმზე, ტრავმების პრევენცია, პირველადი დახმარების აღმოჩენა სპორტული ტრავმების დროს, რეაბილიტაციის პროცესის მართვა, სპორტსმენების კვების პრინციპები, კინეზოკორექციული ღონისძიებები და სარეაბილიტაციო საშუალებები.

შეუძლიათ კომპეტენტურად წარმართონ პრაქტიკული საქმიანობა ფიზიკურ თერაპიასა და რეაბილიტაციაში, შეიმუშავენ ინდივიდუალურ და სპეციალურ სავარჯიშო და სარეაბილიტაციო პროგრამებს, დაავადებათა პროფილაქტიკისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად შეიმუშავენ და რელევანტურად იყენებენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს, აფასებენ სპორტსმენისა და არასპორტსმენის ორგანიზმის ფიზიკურ და ფუნქციურ მდგომარეობას დატვირთვებისა და დასვენების პერიოდში, ეფექტურად წარმართავენ კომუნიკაციას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან, თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებენ საკუთარი სწავლის პროცესს, განსაზღვრავენ შემდგომი სწავლის საჭიროებას გარკვეული მიმართულებით, განსხვავებულ

სიტუაციებში მოქმედებენ პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს:

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს დარგის ზოგიერთ უახლეს ასპექტს.

კურსდამდავრებულმა იცის:

- დროებითი ან მუდმივი სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის ნორმალური ფიზიკური მდგომარეობის აღდგენის თანამედროვე თეორიები და პრინციპები.
- ადამიანის ორგანიზმისა და მისი შემადგენელი ელემენტების ანატომიური, ფიზიოლოგიური, პათ.ფიზიოლოგიური თავისებურებები, ორგანიზმის ქსოვილოვანი სტრუქტურები;
- ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესები, მეტაბოლიზმი;
- ფიზიკურ ვარჯიშებთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ფაქტორები და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- გადაღლისა და მის შემდგომ პერიოდში ორგანიზმში მიმდინარე ფუნქციური ცვლილებები, მათი აღდგენის გზები და საშუალებები;
- ტრავმატოლოგიის ძირითადი დებულებები. ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და დაზიანების პირველადი დახმარება.
- ზოგადი და სპორტის ჰიგიენური ნორმები და მოთხოვნები;
- მოძრაობის კინემატიკური მახასიათებლები და ცალკეული მოძრაობების ანალიზის თანამედროვე მეთოდები.
- ადამიანის ორგანიზმზე და მის სპორტულ შედეგებზე დოპინგის ზემოქმედება და მათი დეტექციის გზები;
- ფიზიოთერაპიის სახეები და თავისებურებები, ფიზიოთერაპიული პროცედურების დანიშვნის ჩვენებები და უკუჩვენებები.
- სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადების აქტუალური საკითხები და თავისებურებები, ფსიქიკური პროცესების ანალიზი, ფსიქო-ფიზიკური ძალების შენარჩუნება - აღდგენის თავისებურებები.
- ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის ინდივიდუალური სტრატეგიები;
- ჯანმრთელი და არაჯანმრთელი ადამიანის კვების რეჟიმის განსაზღვრა, რაციონალური და ბალანსირებული კვების ძირითადი პრინციპები, მათი შეფასების მეთოდები.
- მასაჟის ფორმები და სახეები, მათი მნიშვნელობა კუნთების ტონუსის შენარჩუნებისათვის, ორგანიზმზე მასაჟის მექანიზმის ზემოქმედება.
- ინტენსიური წვრთნისა და დასვენება-აღდგენის პირობებში სპორტსმენთა ჯანმრთელობის აღდგენისა და განმტკიცების მეთოდები.
- სხვადასხვა ნიშნით სამკურნალო ვარჯიშის კლასიფიკაცია და ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური ვარჯიშის კლინიკური და ფიზიოლოგიური მნიშვნელობა;
- ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და დატვირთვების ზემოქმედებით ფიზიკური თვისებებისა და შესაძლებლობების განვითარება.

უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მეთოდების გამოყენებით ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცება, სხვადასხვა დაავადებებისა და დაზიანების ხარისხის განსაზღვრა და რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა

შეუძლია:

- ნორმალური ფიზიკური მდგომარეობის აღდგენის თანამედროვე თეორიები, პრინციპები.
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სპორტის სახეობებისა და სარეაბილიტაციო ვადების მიხედვით სარეაბილიტაციო ღონისძიებების განსაზღვრა, წარმატებით განხორციელება და მართვა;
- ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენის, განმტკიცებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების პროგრამების განსაზღვრა, სხვადასხვა დაავადებებისა და დაზიანების დროს ინდივიდუალური და სპეციალური რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა;
- შეუძლია ანამნეზისა და ანალიზების საფუძველზე ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.
- ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და მკურნალობის ტაქტიკის არჩევა;
- ანამნეზისა და ანალიზების საფუძველზე ტრავმული დაზიანებების დროს პირველადი დახმარების და პრევენციის სქემის შემუშავება;
- სხვადასხვა სამედიცინო და ასაკობრივ ჯგუფებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფიზიკური თვისებების განვითარებისათვის საჭირო საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება;
- მოზარდების ასაკობრივი, სქესობრივი, ფიზიკური და ფუნქციური შესაძლებლობების გათვალისწინებით სპეციალური დატვირთვების დარეგულირება და მათი ინტენსივობის განსაზღვრა;
- სამკურნალო ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა და შედეგების შეფასება;
- ინოვაციური მეთოდებით განსაზღვროს ფიზიკური ვარჯიშებისა და სპორტის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, მისი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები და შეიმუშავოს სპეციალური ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი.
- ფიზიკურ და კოგნიტურ განვითარებაში დარღვევების მქონე პირების საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალური სარეაბილიტაციო გეგმის შემუშავება;
- საწვრთნო, აღმდგენი და ჰიგიენური მასაჟის ჩატარება;
- სპორტსმენის რაციონში საკვები ნივთიერებების ბალანსირებულობის განსაზღვრა;

შეუძლია: სხვადასხვა ასაკობრივ, გენდერულ და სამედიცინო ჯგუფებში ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და ჯანმრთელობის ხარისხის კვლევისათვის საჭირო საშუალებების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენება

კურსდამდავრებულს შეუძლია:

- დაავადებათა პროფილაქტიკის ინდივიდუალური რეკომენდაციების შერჩევა და გამოყენება, პრევენციული ღონისძიებების სწორად დაგეგმვა, სამკურნალო-სარეაბილიტაციო საშუალებების დროული და უსაფრთხო გამოყენება;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში საქმიანობის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის.
- ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და სიტუაციის მართვა კომპეტენციის ფარგლებში.
- შეუძლია ანამნეზისა და ანალიზების საფუძველზე ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

შეუძლია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ლიტერატურული წყაროებზე დაყრდნობით მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე გამოყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით;
- ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. პრობლემების გადაჭრის გზების განსაზღვრა.
- სიტუაციის შეფასება და შესაბამისი სარეაბილიტაციო-პროფილაქტიკური ღონისძიებების განსაზღვრა;
- სპორტულ - გამაჯანსაღებელი და სარეაბილიტაციო საქმიანობის ანალიზი და შეფასება;
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მეთოდებისა და მიდგომების ანალიზის საფუძველზე, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.
- აზრის სწორად შეჯერება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დისკუსიაში მონაწილეობა ქართულ და ინგლისურ ენებზე, საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა.
- ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან, მათ შორის კომუნიკაციის პრობლემის მქონე პირებთან.
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის პრობლემურ საკითხებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება, დისკუსია-დებატებში მონაწილეობა.
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.
- ვებ-გვერდებთან მოიძიოს საჭირო ინფორმაცია და დამოუკიდებლად იმუშაოს დარგობრივ ლიტერატურასთან.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული აცნობიერებს უწყვეტი პროფესიული განვითარების აუცილებლობასა და შეუძლია საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სწავლის საჭიროების განსაზღვრა გარკვეული მიმართულებით და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.
- სასწავლო კურსით გათვალისწინებული თემატიკის მიმართულებით ცოდნის გაღრმავება დამოუკიდებლად;
- შეუძლია საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა.
- შეუძლია კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება.
- შეუძლია საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება.
- აცნობიერებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის როლს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და აღდგენის პროცესში.

აცნობიერებს საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელებას.

- აცნობიერებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამსახურის აუცილებლობას მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება/აღდგენასა და პროფილაქტიკასთან მიმართებაში;

- განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.
- აცნობიერებს დარღვევების მქონე ადამიანების სოციალური ინტეგრაციის მნიშვნელობას.
- შეუძლია მიღებული ცოდნა გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე. აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომით ბაზარზე და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის სტრუქტურა.

საბაკალავრო პროგრამა არის 4 წლიანი, შედგება რვა სემესტრისაგან. სწავლება ოთხი წლის განმავლობაში მოიცავს 240 კრედიტს, სემესტრში 30 კრედიტი, წელიწადში 60 კრედიტი.

აქედან:

ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსები: 29 კრედიტი

საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები: 79 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები: 119 კრედიტი (მათ შორის პრაქტიკა სპეციალობაში-16 კრ.; საბაკალავრო ნაშრომი - 14 კრ.)

სავალდებულო თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები: 13 კრედიტი

1კრ=25საათი

ერთი აკადემიური წელი: 42 კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 21 კვირა (მათ შორის: სასწავლო -15; სასესიო -4; დამატებითი გამოცდები -2).

ცოდნის შეფასების სისტემა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას შპს უნივერსიტეტი გეომედი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით“ განსაზღვრული შეფასების სისტემით, რომელიც გულისხმობს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91 –100ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა– 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით:

სემესტრული შეფასება ითვალისწინებს ორ კომპონენტს - შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. თითოეულ კომპონენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში, რომელსაც თავად განსაზღვრავს პედაგოგი (1)70/30 ან (2) 60/40), რაც იმას ნიშნავს რომ პირველ შემთხვევაში შუალედური შეფასება მოიცავს შემაჯამებელი შეფასების 70%, ხოლო დასკვნითი შეფასება 30%, მეორე შემთხვევაში, შუალედურ შეფასებას ეთმობა მთლიანი შეფასების 60%, ხოლო დასკვნითს 40%. შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (შუალედური გამოცდა, აქტიურობა სემინარზე/პრაქტიკულზე, პრეზენტაცია, ქვიზი, სიტუაციური ამოცანები, ესსე, და ა.შ). ამ კომპონენტების შეფასების პროცენტულ მაჩვენებელს საგნის პედაგოგი საზღვრავს თავად გარდა

შუალედური გამოცდისა, რომელიც წარმოადგენს შუალედური შეფასების აუცილებელ კომპონენტს და მისი პროცენტული მაჩვენებელი (1) 70/30- შემთხვევაში უნდა იყოს 30 ქულა, ხოლო (2) 60/40- შემთხვევაში 20 ქულა.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც აუცილებელი წინაპირობაა დასკვნითი გამოცდაზე გასვლის არის შუალედური შეფასების მინიმუმ 50%.

დასკვნითი შეფასება სემესტრული შეფასების აუცილებელი პირობაა. დასკვნითი შეფასების გადალახვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%+1-ია. თუ სტუდენტის ქულა 41-50 ქულამდე მერყეობს, მას ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, ხოლო თუ სტუდენტის ქულა ნაკლებია 41-ზე, სტუდენტს სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის შუალედური შეფასება ტოლია ან მეტია 51 ქულის, სტუდენტი ვალდებულია დასკვნით გამოცდაში გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სტუდენტს უფლება აქვს დამატებითი გამოცდაზე გავიდეს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

• **სასწავლო კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს OSCE -ს** (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა), დასკვნითი შეფასება ორ კომპონენტია:

1. **ტესტი** - მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება 1 ქულით. სულ - 20 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი **10 ქულა**.

2. **OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა)**- სტუდენტი საგანს აბარებს 5 აქტიურ საგამოცდო ოთახში, თითოეულ ოთახში დაყოვნების ხანგრძლივობა შეადგენს 4 წუთს, ერთ სადგურზე მაქსიმალური ქულის რაოდენობა - 4 ქულა, სულ 20 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი **11 ქულა**.

ქულების რანჟირება:

4 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას ასრულებს ძალიან კარგად;

3 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას ასრულებს კარგად;

2 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას ასრულებს დამაკმაყოფილებლად;

1 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრაციას ასრულებს შეცდომებით;

0 ქულა - პრაქტიკულად დავალებას ვერ ასრულებს

• **სასწავლო კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს OSPE-ს** (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა), დასკვნითი შეფასება ორ კომპონენტია:

1. **ტესტი** - მოცემულია 20 კითხვა, თითო საკითხი ფასდება 1 ქულით. სულ - 20 ქულა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი **10 ქულა**.

2. **OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა)** - სტუდენტი საგანს აბარებს 5 აქტიურ საგამოცდო ოთახში, თითოეულ ოთახში დაყოვნების ხანგრძლივობა შეადგენს 4 წუთს, ერთ სადგურზე მაქსიმალური ქულის რაოდენობა - 4 ქულა, სულ 20 ქულა.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი **11 ქულა**.

ქულების რანჟირება:

4 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს ძალიან კარგად;

3 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს კარგად;

2 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს საშუალოდ;

1 ქულა - პრაქტიკული უნარების დემონსტრირებას ასრულებს შეცდომებით;

0 ქულა - პრაქტიკულად დავალებას ვერ ასრულებს.

OSCE გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკაში.

OSPE გამოცდა ტარდება საუნივერსიტეტო სიმულაციურ კლინიკაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი აბარებს დასკვნითი შეფასების იმ კომპონენტს/კომპონენტებს, რომელშიც ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა -60 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა);

- საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა- 40 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა).
საბაკალავრო ნაშრომის შეფასების ქულა გამოითვლება კომისიის წევრთა მიერ დაწერილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის მეშვეობით.

საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა (ტარდება მე-18 კვირას)- ფასდება 60 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- თემის სიახლე და აქტუალობა - 20 ქულა;
- საფუძვლიანად მოძიებული შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, მათი სისტემატიზაცია - 10 ქულა;
- საკვლევი საკითხის გარშემო არსებული მასალების შესწავლისა და წარმოჩენის უნარი -10 ქულა;
- პრობლემის გამოკვეთის, კვლევისა და ანალიზის უნარი, მსჯელობის თანმიმდევრულობა -10 ქულა;
- ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა - 10 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 30 ქულით.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა (ტარდება მე-20 კვირას)- ფასდება 40 ქულით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- წარმოდგენილი ნაშრომის აგებულება -10 ქულა;
- პრეზენტაციის ვერბალური მხარე - 10 ქულა;
- პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;
- მსჯელობა, კითხვებზე, და შენიშვნებზე გაცემული პასუხი - 15 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 21 ქულით.

საბაკალავრო ნაშრომი სტუდენტს შესრულებულად ჩაეთვლება, თუ შეფასებისას დააგროვებს **51** და მეტ ქულას.

საბაკალავრო ნაშრომის **41-50** ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით **საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე** ერთხელ გასვლის უფლება იმავე სემესტრში, საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5** დღეში.

დასაქმების სფერო

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლო სფეროებია საჯარო და კერძო სექტორები, სპორტული ფედერაციები, სპორტული, გამაჯანსაღებელი და ფიტნეს კლუბები, ჯანდაცვის ნებისმიერი ობიექტები.